საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით უზენაეს სასამართლოში შემოსული განცხადებების ზოგადი სტატისტიკა

2019 წლის პირველ კვარტალში (იანვარი, თებერვალი, მარტი) უზენაეს სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 723 განცხადება.
ამათგან: 710 განცხადება დაკმაყოფილდა სრულად;
1 განაცხადი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ (განაცხადით მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი არ დაკმაყოფილდა კანონის საფუძველზე);
9 განაცხადი არ დაკმაყოფილდა (1 განაცხადით მოთხოვნილი ინფორმაცია არ დაკმაყოფილდა კანონის საფუძველზე, ხოლო 8 შემთხვევაში, მოთხოვნილი ინფორმაცია სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმით არ იყო გათვალისწინებული);
3 განაცხადი მოთხოვნილი საკითხის გადასაწყვეტად, გადაეგზავნა შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს;

არც ერთი უარი არ გასაჩივრებულა და არ შემოსულა გაგზავნილ ინფორმაციაზე შესწორების შესახებ მოთხოვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით უზენაეს სასამართლოში შემოსული განცხადებების ზოგადი სტატისტიკა

2019 წლის მეორე კვარტალში (აპრილი, მაისი, ივნისი) უზენაეს სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 298 განცხადება. ამათგან:

277 განცხადება დაკმაყოფილდა სრულად;

4 განაცხადი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, 3 შემთხვევაში მოთხოვნის ნაწილი ეხებოდა ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, რომელსაც სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები არ ითვალისწინებს, ხოლო 1 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილზე პასუხის გაცემა არ შედიოდა უზენაესი სასამართლოს კომპეტენციაში, შესაბამისად, გადაიგზავნა ქვემდებარეობით;

14 განაცხადი არ დაკმაყოფილდა, კერძოდ, 5 განაცხადით მოთხოვნილი ინფორმაცია არ დაკმაყოფილდა კანონის საფუძველზე, ხოლო 9 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებით არ იყო გათვალისწინებული;

3 განაცხადი ქვემდებარეობის მიხედვით გადაიგზავნა შესაბამის ორგანიზაციებში.

არც ერთი უარი არ გასაჩივრებულა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით უზენაეს სასამართლოში შემოსული განცხადებების ზოგადი სტატისტიკა

2019 წლის მესამე კვარტალში (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) უზენაეს სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 214 განცხადება. ამათგან:

207 განცხადება დაკმაყოფილდა სრულად;

1 განაცხადი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ვინაიდან მოთხოვნის ნაწილი ეხებოდა ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, რომელსაც სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები არ ითვალისწინებს;

5 განაცხადი არ დაკმაყოფილდა, კერძოდ, 3 განაცხადით მოთხოვნილი ინფორმაცია არ დაკმაყოფილდა კანონის საფუძველზე, ხოლო 2 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებით არ იყო გათვალისწინებული;

1 განაცხადი ქვემდებარეობის მიხედვით გადაიგზავნა შესაბამის ორგანიზაციაში.

არც ერთი უარი არ გასაჩივრებულა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით უზენაეს სასამართლოში შემოსული განცხადებების ზოგადი სტატისტიკა

2019 წლის მეოთხე კვარტალში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) უზენაეს სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 251 განცხადება. ამათგან:

243 განცხადება დაკმაყოფილდა სრულად;

3 განაცხადი არ დაკმაყოფილდა. კერძოდ, 1 განაცხადით მოთხოვნილი ინფორმაცია არ დაკმაყოფილდა კანონის საფუძველზე, ხოლო 2 შემთხვევაში, მოთხოვნილი ინფორმაცია სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებით არ იყო გათვალისწინებული;

2 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. აქედან 1 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებით არ იყო გათვალისწინებული, ხოლო 1 შემთხვევაში, მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი არ დაკმაყოფილდა კანონის საფუძველზე;

3 განაცხადი ქვემდებარეობის მიხედვით, მოთხოვნილი საკითხის გადასაწყვეტად, გადაეგზავნა შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს;

არც ერთი უარი არ გასაჩივრებულა და არ შემოსულა გაგზავნილ ინფორმაციაზე შესწორების შესახებ მოთხოვნა.